პროექტი

საქართველოს კანონი

საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში

ცვლილების შეტანის შესახებ

მუხლი 1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში (საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უწყებები, №12, 1984 წელი, მუხ. 421) შეტანილ იქნეს შემდეგი ცვლილებები:

1. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66^3 ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 66^3. „გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის ცოცხალი ან არაცოცხალი ინდივიდებით, მისი ნაწილით ან დერივატით უკანონო ვაჭრობა, აგრეთვე ამ სახეობის, მისი ნაწილის ან დერივატის უკანონო ექსპორტი, იმპორტი, რეექსპორტი ან ზღვიდან ინტროდუქცია

1. ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის ცოცხალი ან არაცოცხალი ინდივიდით, მისი ნაწილით ან დერივატით უკანონო ვაჭრობა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 1 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

2. ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობის ცოცხალი ან არაცოცხალი ინდივიდის, მისი ნაწილის ან დერივატის უკანონო ექსპორტი, იმპორტი, ტრანზიტი, რეექსპორტი ან ზღვიდან ინტროდუქცია გამოიწვევს დაჯარიმებას, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით:

პირველ დანართში შეტანილი სახეობების ცოცხალი ცხოველები და მცენარეები - 4000 ლარი

პირველ დანართში შეტანილი სახეობების არაცოცხალი ნიმუშები, გარდა სპილოს მთლიანი ეშვის და მარტორქის მთლიანი რქისა - 3000 ლარი

სპილოს მთლიანი ეშვი და მარტორქის მთლიანი რქა დაუმუშავებელი სახით - 5000 ლარი

სპილოს მთლიანი ეშვი 3 ცალი და მეტი ოდენობით - 10 000 ლარი

მარტორქის მთლიანი რქა 2 ცალი და მეტი ოდენობით - 10 000 ლარი

მეორე დანართში შეტანილი სახეობების ცოცხალი ცხოველები (გარდა უხერხემლოებისა) და მცენარეები- 3000 ლარი

მეორე დანართში შეტანილი უხერხემლოების ცოცხალი ინდივიდები - 800 ლარი

მეორე დანართში შეტანილი სახეობების ნაწილები - 800 ლარი

მეორე დანართში შეტანილი სახეობების დერივატები - 500 ლარი

მესამე დანართში შეტანილი სახეობების ნიმუშები - 300 ლარი

2. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 66[4] ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

მუხლი 66[4]. ,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის პირობების დარღვევა.

,,გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფი ველური ფლორისა და ფაუნის სახეობებით საერთაშორისო ვაჭრობის შესახებ“ კონვენციის (CITES) დანართებში შეტანილი სახეობების, მათი ნაწილებისა და დერივატების ექსპორტის, იმპორტის, რეექსპორტისა და ზღვიდან ინტროდუქციის ნებართვის პირობების დარღვევა –

გამოიწვევს დაჯარიმებას 2 000 ლარის ოდენობით, სამართალდარღვევის საგნის კონფისკაციით.

3. საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსის 239 მუხლის მე-4 პუნქტიმე-19 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

19. ამ კოდექსის 91[2] მუხლით, 91[3] მუხლის პირველი ნაწილით, 127[1] მუხლის მე-2 ნაწილით, 153-ე, 153[1], 153[5], 155[1]–155[3], 155[5], 155[6], 155[9], 155[10], 157-ე, 158-ე, 164-ე, 164[4], 165-ე–165[3], 171[5], 178-ე, 179[3], 194-ე და 195-ე მუხლებით გათვალისწინებულ ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა ოქმებს ადგენენ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს შესაბამისი ორგანოების უფლებამოსილი პირები.

მუხლი 2. კანონის ამოქმედება

ეს კანონი ამოქმედდეს 2019 წლის 1 იანვარს

საქართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი